ახალი ხარაგაული

355 (14) 26 ივნისი, 2017 წ

ნიკოლოზ თოფურიძემ ხიდრისა და ვარძიის მოსახლეობას განეული მუშაობის შესახებ ექვსი თვის ანგარიში წარუდგინა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, ხიდრისა და ვარძიის მოსახლეობას განეული მუშაობის შესახებ ექვსი თვის ანგარიში წარუდგინა. 2017 წელს მუნიციპალიტეტში მეტად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება. მათ შორის, უპირატესობა სოფლის ცენტრალურ გზებს ენიჭება, აქედან მხოლოდ ერთი პროექტი ნადაბურში საბავშვო ბაღის მშენებლობაა. ხიდარში დაგეგმილია სოფლის ტაძრამდე მისასვლელი გზის მობეტონება, ასევე მიმდინარეობს ცენტრალურ გზაზე არსებული ხიდის აღდგენითი სამუშაოები, რომელიც ნიკოლოზ თოფურიძემ პირადად მოინახულა. გზის 500 მეტრიანი მონაკვეთი კეთდება სოფელ ვარძიის პირველ უბანში. გამგებლის ინფორმაციით, აღნიშნული გზის რეაბილიტაცია გაგრძელდება. მისივე განმარტებით, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში დამატებით 15 სოფლის გზის რეაბილიტაციის პროექტია გაგზავნილი, რომელთა უმრავლესობა წელს დაფინანსდება, ზოგიერთი კი გარდამავალი იქნება.

გამგებელმა მოსახლეობის პრობლემებიც მოისმინა და იმ სოციალურ პროგრამებზე ისაუბრა, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და ადგილობრივების მხრიდან პრიორიტეტად შიდა სასოფლო გზების მოწესრიგება დასახელდა. თოფურიძე განმარტავს, რომ ყველა სოფელში გზები ერთ წელიწადში ვერ გაკეთდება და, პირველ რიგში, ტაძრამდე და სასაფლაომდე მისასვლელი მონაკვეთები რეაბილიტირდება. გამგებელი აღნიშნავს, რომ სახელმწიფომ სოფელზე ზრუნვა დაიწყო და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ სამ-ოთხ წელიწადში გზების პრობლემა მოგვარებული იყოს. იგი ასევე გაზიფიცირებისა და გამრიცხველიანების საკითხებსაც შეეხო და დასძინა, რომ მუნიციპალიტეტის მასშტაბით გამრიცხველიანება ივლისის ბოლოს დასრულდება, რაც შეეხება გაზიფიცირებას, სამუშაოები მომავალ წელს განახლდება. ამჟამად ბაზალეთში, ჩხერში, ახალსოფელსა და თეთრაწყაროში გაზიფიცრების სისტემა უკვე მოწყობილია, სრულდება ჯაფაროულისა და ისლარის დაქსელვა. „სოკარ ჯორჯია გაზიდან“ მიღებული ინფორმაციით, წელს ექვსივე სოფელში ბუნებრივი აირი ჩაირთვება.კითხვები დაისვა მიწის დაკანონებასთან დაკავშირებითაც, რაზეც გამგებელმა აღნიშნა, რომ მიწის კანონის ლეგალიზაცია გამარტივებულია და ყველას აქვს შესაძლებლობა, უფასოდ გაიფორმოს მათ საკუთრებაში არსებული ნაკვეთები. საყოველთაო უკმაყოფილებაა მოსახლეობაში სოციალური შემწეობის დანიშვნასთან დაკავშირებით. ისინი აცხადებენ, რომ ფულადი დახმარება მათ არასამართლიანად მოეხსნათ. უდიდეს პრობლემას წარმოადგენს ასევე სამასალე ხე-ტყეზე ხელმიუწვდომლობა. ნიკოლოზ თოფურიძე განმარტავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში აღნიშნული საკითხების მოგვარება არ შედის და ამბობს, რომ საქართველოში სატყეო სფეროს მარეგულირებელი ახალი კანონი უნდა ამოქმედდეს, რაზეც მაჟორიტარი დეპუტატი, კობა ლურსმანაშვილი, აქტიურად მუშაობს საკანონმდებლო ორგანოში. გამგებელი ასევე იმედს იტოვებს, რომ ფულადი დახმარების დანიშვნასთან დაკავშირებით ცვლილებები განხორციელდება. ამ საკითხზე კონკრეტული დეტალების საუბრისგან იგი თავს იკავებს, თუმცა მოსახლეობას ჰპირდება,რომ უახლოეს მომავალში ყველაფერი მათ სასიკეთოდ შეიცვლება.

ნიკოლოზ თოფურიძე ორივე სოფლის მოსახლეობას დაჰპირდა, რომ მათი მოთხოვნები, ეტაპობრივად, აუცილებლად დაკმაყოფილდება. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელისუფლება ხალხის სამსახურშია და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარება აღუთქვა.

შეხვედრებს ხიდრისა და ვარძიის ადმინისტრაციულ ერთეულში ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი, ოთარ ლურსმანაშვილი, გამგებლის წარმომადგენლები: ბადრი ბერაძე, მზექალა გლუნჩაძე და საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები ნონა ზურაბიანი (ხიდარი) და გივი ხიჯაკაძე (ვარძია) ესწრებოდნენ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბჟინევს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭა

ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის, კობა ლურსმანაშვილის, ინფორმაციით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბჟინევს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭა. ლურსმანაშვილი, რომელიც ამავდროულად მთის საბჭოს წევრია ამბობს, რომ პირველ ეტაპზე გადაწყვეტილება იმ სოფლებთან დაკავშირებით მიიღეს, რომელთა ჰიბსომეტრიული სიმაღლე 800 მეტრს აღემატებოდა. შეგახსენებთ, რომ საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონის თანახმად, მაღალმთიან დასახლებად ითვლება დასახლება, რომელიც ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე ან მის ზევით მდებარეობს. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია სხვადასხვა კრიტერიუმის (მთის ფერდობის დახრილობა, ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, კლიმატური პირობები და ბუნებრივი გარემო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სიმცირე და სიმწირე, დემოგრაფიული მდგომარეობა, მათ შორის, გამწვავებული მიგრაციული პროცესები) გათვალისწინებით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიანიჭოს დასახლებას, რომელიც ზღვის დონიდან არანაკლებ 800 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

ლორეშაში სპორტული დარბაზი მოეწყობა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, ღორეშის მოსახლეობას შეხვდა. ვიზიტის ძირითადი მიზანი სოფლის ცენტრში მდებარე ადმინისტრაციულ შენობაში სპორტული დარბაზის მოწყობის საკითხი გახლდათ. გამგებლის განმარტებით, შენობის მეორე სართულზე ორი დიდი ოთახი უფუნქციოდაა და კარგი იქნება, თუ იქ სპორტული აქტივობებისთვის სხვადასხვა სახის ინვენტარი განთავსდება. ნიკოლოზ თოფურიძე, აღნიშნულ საკითხებზე ადგილობრივებს პირადად გაესაუბრა და აღნიშნა, რომ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო მზადაა, უსასყიდლოდ გადასცეს სოფელს დარბაზის ფუნქციონირებისათვის სპორტული ინვენტარი. გამგებელმა მოისმინა ხალხის აზრი სხვადასხვა საკითხზე - სოფლის საჭიროებასა და რიგ პრობლემებზე. მან ასევე 2017 წელს ხარაგაულში დაგეგმილ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის იმ სოფლებში დაიგეგმა გზების გაკეთება, სადაც განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა. ღორეშის მოსახლეობის მხრიდან კმაყოფილება გამოითქვა 2016 წელს სოფლის ცენტრალური გზის მობეტონების გამო. აღნიშნული გზის რეაბილიტაცია წელს სარგვეში-ბაზალეთის მიმართულებით გრძელდება. სოფელში მოქმედებს საზოგადოებრივი ცენტრი, რომელმაც 2015 წელს დაიწყო ფუნქციონირება.

ძირულა - ჩუმათელეთის მაგისტრალის მშენებლობა იწყება

აზიის განვითარების ბანკი (ADB) ძირულა - ხარაგაული - მოლითი - ფონა - ჩუმათელეთის, დაახლოებით, 50 კმ სიგრძის საავტომობილო გზის რეაბილიტაციას დააფინანსებს. შესაბამის შეთანხმებას ხელი მოაწერეს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა და აზიის განვითარების ბანკის გენერალურმა დირექტორმა შონ ო'სალივანმა (Sean O'Sullivan).

პროექტის ღირებულება 80 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს და დაფინანსდება ძირულა-ჩუმათელეთის მაგისტრალთან სარკინიგზო სადგურებისა და ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკთან დამაკავშირებელი გზები. პროექტის ფარგლებში მოხდება ასფალტის დაგება, ხიდების გარემონტება /რეკონსტრუქცია, გზის სადრენაჟე მილების გარემონტება/რეკონსტრუქცია, გზის გასწვრივ სადრენაჟე ნაგებობების მშენებლობა და, საჭიროებიდან გამომდინარე, გზის მონიშვნა და აღჭურვა სათანადო საგზაო ნიშნებით. საავტომობილო გზა ორზოლიანი იქნება.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან თათბირი გამართა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან თათბირი გამართა. გამგებელმა წარმომადგენლებს სოფლის პრიორიტეტული საკითხების დადგენა (გზები, ხიდ-ბოგირები, გაბიონები) და ასევე მდინარეთა სანაპირო ზოლების ავარიული მონაკვეთების აღნუსხვა დაავალა. როგორც ნიკოლოზ თოფურიძემ განაცხადა, სამი წლის განმავლობაში ხარაგაულის ყველა სოფლის გზა მოწესრიგდება და მოსახლეობას გადაადგილების პრობლემა აღარ ექნება. „საქართველოს მთავრობის უპირველესი მიზანი სოფელში მცხოვრებთათვის უკეთესი პირობების შექმნაა,“- აღნიშნა გამგებელმა. თოფურიძე ადმინისტრაციულ ერთეულებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოებითაც დაინტერესდა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ უხარისხოდ შესრულებული პროექტების ჩაბარება არ მოხდება და შემსრულებელ კომპანიებს პასუხისმგებლობა მაქსიმალურად მოეთხოვებათ.

ყურადღება გამახვილდა ასევე ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის რეაბილიტაციაზე. გამგებლის თქმით, აღნიშნულ მონაკვეთზე საპროექტო სამუშაოები უახლოეს მომავალში დასრულდება. ,,ძალიან ცუდ მდგომარეობაშია ძირულა-ხარაგაულის დამაკავშირებელი გზა. მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა არ იცის, რომ ის საგზაო დეპარტამენტს ეკუთვნის და მასზე სამუშაოების განხორციელება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებაში არ შედის. შემოდგომაზე ამ ხეობაში სარკინიგზო გვირაბების მშენებლობა დასრულდება და გზის რეაბილიტაციაც დაიწყება“, - აღნინშნა ნიკოლოზ თოფურიძემ.

თათბირზე თითოეული სოფლის პრობლემებზე ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებმა ისაუბრეს და მათი გადაჭრის გზებზე მუნიციპალიტეტის გამგებელთან ერთად იმსჯელეს.

ნიკოლოზ თოფურიძემ წარმომადგენლებს მოუწოდა, მაქსიმალური ყურადღება მიაქციონ მოსახლეობას და კომპეტენციის ფარგლებში პრობლემების მოგვარებაში გვერდით დაუდგნენ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საჯარო მოხელეებს რანგები მიენიჭებათ

15 ივნისს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა საჯარო სამსახურში მიმდინარე რეფორმის შესახებ იმსჯელეს და თანამშრომლებზე რანგების მინიჭების საკითხები განიხილეს. გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის, კახა გოლუბიანის, განმარტებით, 131 საშტატო ერთეული 82-მდე შემცირდება. მისივე განცხადებით, შემცირებულ შტატებზე საჯარო მოხელეები შრომით ხელშეკრულებებზე გადავლენ და სამსახურში მუშაობას ჩვეულებრივ რეჟიმში გააგრძელებენ. შრომითი

გაგრძელება ▶ 2 გვ.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საჯარო მოხელეებს რანგები მიენიჭებათ

დასაწყისი▶ 1 გვ.

ხელშეკრულებები გაუფორმდებათ გამგებლის მდივანს, თანაშემწეებს, წარმომადგენლებსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში დანიშნულ სპეციალისტებს. პირველ ივლისამდე ყველა საჯარო მოხელეს მიენიჭება საჯარო მოხელის კლასი, რომლის მიხედვითაც თანამდებობები განისაზღვრება რანგების მიხედვით. პირველი რანგი მიენიჭებათ სამსახურის უფროსებს, მეორე -განყოფილების უფროსებს, მესამე - მთავარ სპეციალისტებს (რომლებიც იყოფა სამ კატეგორიად სამსახურის ფუნქციისა და დატვირთვის მიხედვით), ხოლო მეოთხე-წამყვან სპეციალისტებს, უფროს სპეციალისტებსა და სპეციალისტებს. კახა გოლუბიანი აღნიშნავს, რომ იანვრიდან საჯარო მოხელეებმა შესაძლებელია, კლასების მიხედვით თანამდებობრივ სარგოებზე დანამატები მიიღონ. დანამატების ოდენობა 2018 წლის ბიუჯეტის ფინანსური მდგომარეობის მიხედვით განისაზღვრება.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი, სოფლის სპეციალისტების შრომით ხელშეკრულებაზე გადაყვანას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს და აღნიშნავს: „ადმინისტრაციულ ერთეულებში დანიშნული სპეციალისტები ადმინისტრაციული სამსახურის თანამშრომლები არიან და მათ გამგეობაში მომუშავე სხვა სპეციალისტებთან შედარებით არათანაბარ პირობებში აყენებთ. ადამიანებმა გამოცდები ჩააბარეს და ახლა კი შრომითი ხელშეკრულება შეუწყდებათ. ეს ნიშნავს, რომ მათ საჯარო მოხელის კარიერული წინსვლის საშუალება აღარ მიეცემათ.“

იურიდიული, სამანდატო-საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, მიხეილ გელაშვილი, რეორგანიზაციის შედეგად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ თანამშრომელთა რიცხვის გაზრდას ვარაუდობს და დასძენს, რომ თვითმმართველობაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რაოდენობა კანონით მკაცრად არის განსაზღვრული და დადგენილ ნორმებს გადააჭარბებს.

კახა გოლუბიანი ამბობს, რომ აღნიშნულ თემებზე ზემდგომ ორგანოებში მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს და ყველა საკითხი კანონის ფარგლებში დარეგულირდება.

თამარ მაღრაძე

სტიქიის შედეგად ხარაგაულის რამდენიმე სოფელს პრობლემა შეექმნა

22 ივნისს ხარაგაულში მოსული უხვი ნალექის გამო პრობლემა შეიქმნა რამდენიმე სოფელში. დაზიანდა ინფრასტრუქტურა და მოვარდნილმა ღვარცოფმა დააზარალა მოსახლეობა. საღანძილისა და ისლარის მიმართულებით ჩაიკეტა გზები. მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, მოადგილეებთან ერთად ადგილზე გაეცნო შექმნილ ვითარებას. ადგილზე იმყოფებოდა ასევე ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი. გაწმენდითი სამუშაოები მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა და მომდევნო დღესაც გაგრძელდა. სანიაღვრე არხებისა და ფერდობებიდან ჩამოსული ქვა-ღორღებისგან ქუჩების გაწმენდის სამუშაოები ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავების“ და ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის“ სამსახურის თანამშრომლებმა განახორციელეს. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის, ნიკოლოზ თოფურიძის ინფორმაციით, სტიქიით მიყენებულ ზარალს სპეციალური კომისია სწავლობს.

სარგვეშის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია იწყება

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ღორეშა-ბაზალეთის გზის რეაბილიტაციის მიზნით ტენდერი გამოაცხადა. ტენდერი 30 მაისს გამოცხადდა, წინადადებების მიღება კი 30 ივნისს დასრულდება. პროექტის ფარგლებში მობეტონდება 11 კმ გზა, რომლითაც ხარაგაული ბაზალეთი - სარგვეში - ღორეშა -უბისის მიმართულებით თბილისი-სენაკი-ლესელიძის ცენტრალურ მაგისტრალს დაუკავშირდება. სამუშაოების სავარაუდო ღირებულება 2 803 439 ლარია. აღნიშნული ინფორმაცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, სარგვეშის მოსახლეობას პირადად აცნობა. გამგებელი შეკრებილ მოსახლეობას იმ სიკეთეებზე ესაუბრა, რაც უბისა - სარგვეში - ხარაგაულის გზის რეაბილიტაციას მოჰყვება. ინფრასტრუქტურის განვითარება სოფელში ეკონომიკური სიძლიერისა და სოფლად ახალგაზრდების შენარჩუნების წინაპირობაა.

შეგახსენებთ, რომ უბისა-ღორეშა-სარგვეში-ბაზალეთი-ხარაგაულის ცენტრალური გზის 21 კილომეტრიან მონაკვეთზე 5 კმ. და 500 მეტრი სიგრძის გზის მობეტონება (უბისა-ღორეშის მიმართულებით) 2016 ნელს რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდა, ხოლო ხარაგაული-ბაზალეთის მიმართულებით 3 კმ. სიგრძის გზა ასევე 2016 წელს მოასფალტდა.

ამავე დღეს ნიკოლოზ თოფურიძე საბის მოსახლეობასაც შეხვდა. მიმდინარე წელს სოფელში ორი უბნის დამაკავშირებელი ხიდის აღდგენითი სამუშაოები ჩატარდება და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება. პროექტის განსახორციელებლად 18 000 ლარია გამოყოფილი.მოსახლეობა,ასევე ითხოვს „სოფლის მხადამჭერი პროგრამის“ ფარგლებში, 2 წლის წინ დაწყებული ბიბლიოთეკის მშენებლობის დასრულებას. გამგებელი ადგილობრივებს აღნიშნული პრობლემის მოგვარებას დაჰპირდა.

ეკა შავიძე

ბორითის საბავშვო ბაღში გამოსაშვებ საღამოს საკრებულოს თავმჯდომარე, მანანა ბარბაქაძე, დაესწრო

ბორითის საბავშვო ბაღმა კიდევ ერთი თაობა გააცილა. „სკოლისაკენ ჰერი, ჰერი!“ ამ განწყობით ოცი აღსაზრდელი დაემშვიდობა ბაღს და მასწავლებლებს. პატარებმა გამოსაშვები ღონისძიება მოაწყვეს და დამსწრე საზოგადოების წინაშე სამშობლოს სიყვარულით გაჯერებული ლექსები წაიკითხეს და სიმღერები შეასრულეს. საღამოს საკრებულოს თავმჯდომარე, მანანა ბარბაქაძე, ესწრებოდა, რომელმაც აღსაზრდელებს სავალი გზა დაულოცა და შემდგომში წარმატებები უსურვა.

აღსანიშნავია, რომ ბორითის ბაღს ახალი სასწავლო წლიდან 20 ბავშვი შეემატება.

ხარაგაულის გამგებელი ძირულა-ხარაგაული-ჩუმათელეთის 50 კმ-იანი მონაკვეთის პროექტანტებს შეხვდა

ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის გზის 50 კმ-იანი მონაკვეთის პროექტის საბოლოო დეტალების განხილვა დაიწყო. აღნიშნული გზის 50 კილომეტრიან მონაკვეთზე საპროექტო სამუშაოებს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ დაქირავებული გერმანული კომპანია „კოქს კონსალტი“ ახორციელებს, რომლის წარმომადგენლებიც მუნიციპალიტეტის გამგებელს, ნიკოლოზ თოფურიძეს, მოადგილე არჩილ მაღრაძეს, შეხვდნენ. როგორც პროექტანტებმა აღნიშნეს, ზემოთ ხსენებული მონაკვეთი ორ ნაწილადაა გაყოფილი. ამჯერად პირველი ნაწილის, რომელიც 24 კილომეტრს მოიცავს, საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს. კომპანია „კოქს კონსალტის“ განსახლების გეგმის სპეციალისტმა, სოსო გორგოძემ, საბოლოო დეტალები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ლაშისა და საღანძილის მოსახლეობას პრეზენტაციის სახით წარუდგინა. მისივე თქმით, პირველ 24 კილომეტრიან მონაკვეთზე, განსახლებაში დაახლოებით 80 ოჯახი ხვდება და საპროექტო სამუშაოები ერთ თვეში დასრულდება, რის შემდეგაც პროექტი აზიის განვითარების ბანკში გადაიგზავნება. ამ უკანასკნელიდან მოსული შენიშვნებისა და სამინისტროსთან მიღწეული შეთანხმება-შეჯერების შემდეგ გზის მშენებლობაზე გამოცხადდება ტენდერი.

აზომვითი სამუშაოების სპეციალისტის, გელა ლომიძის, განმარტებით, პროექტში დაბა ხარაგაულის ტერიტორიაზე შემოვლითი გზა არ ფიქსირდება. თუმცა კომპანიის წარმომადგენლები ვერც იმას ადასტურებენ, გაივლის თუ არა ავტობანი დაბა ხარაგაულის ტერიტორიაზე.

მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, კმაყოფილებას გამოთქვამს ძირულა-ხარაგაული-ჩუმათელეთის გზის 50-კილომეტრიანი მონაკვეთის საპროექტო სამუშაოების საბოლოო ფაზაში შესვლის გამო, მაგრამ ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული გზის დაბის ტერიტორიაზე გავლის წინააღმდეგია. გამგებელი ამბობს, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტთან ამ საკითხს აუცილებლად განიხილავს.

გზის საპროექტო პარამეტრები ასეთია - 50 კმ-იანი მონაკვეთი იქნება 2 ზოლიანი, თითო ზოლის სიგანე იქნება 3 მ, ხოლო სავალი ნაწილის სიგანე 6 მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, ასევე საკარმიდამო და კომერციულ/საწარმოო მიწა, რომელიც მოხვდება წითელ ზოლში, ფასდება საბაზრო ღირებულებით. შეფასდება ასევე პირის მფლობელობაში არსებული ხეხილი, მისი სახეობისა და ასაკის მიხედვით, ამ შემთხვევაშიც შეფასება საბითუმო - საბაზრო ფასით მოხდება. პრაქტიკიდან გამომდინარე, მერქანი რჩება მეპატრონეს.

შენობა - ნაგებობები, რომლებიც მოხვდება განსახლების ზოლში - საცხოვრებელი სახლი, დამხმარე ნაგებობა, კომერციულ-საწარმოო და წვრილი ნაგებობები (ჭა, ავზი), ღობე/კედელი - ფასდება ინდივიდუალურად, აღდგენითი ღირებულებით. არსებული პრაქტიკით მასალა რჩება პატრონს. ერთწლიანი კულტურის მოსავალი შეფასდება მრავალწლიანი საშუალო მოსავლიანობის გათვალისწინებით, საბითუმო საბაზრო ფასით.

ბიზნესი, რომელიც მოხვდება სამუშაო ზოლში, იქნება კომპენსირებული. ანაზღაურდება საწარმოს მუშაკთა ხელფასები და მოგება.

პროექტში გათვალისწინებულია შემწეობებისა და დახმარების პაკეტებიც, რომელიც განისაზღვრება ზემოქმედების სიმძაფრის მიხედვით (შემოსავლების 10%-ზე მეტის დანაკარგი), ასევე იქნება დახმარებები ადგილმონაცვლეობისას და ერთჯერადი სოციალური შემწეობები.

ლელა გუგულაშვილი

იმერეთის "თეატრალურ ფესტივალზე“ ხარაგაულის თეატრი ორ ნომინაციაში დაჯილდოვდა

იმერეთის ,,თეატრალური ფესტივალი 2017'' დასრულდა. ფესტივალის ფარგლებში, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე ხარაგაულის სახალხო თეატრის დასმა სპექტაკლი „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი" წარმოადგინა. წლის საუკეთესო სპექტაკლად საჩხერის სახალხო თეატრის მიერ წარმოდგენილი ,,შერეკილები“ დასახელდა. გამოვლინდნენ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები. ხარაგაულის თეატრმა ორ ნომინაციაში გაიმარჯვა: „საუკეთესო სცენოგრაფია“ და „საუკეთესო სცენური სახეების შექმნა 6+1, ანუ „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“, რომელიც სპეციალურად ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრისთვის დაწესდა. გამარჯვებულებს საჩუქრები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა, მიხეილ გიორგაძემ, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის პირველმა მოადგილემ, პაატა ნადირაძემ, ვიცე–გუბერნატორებმა: გიორგი ჭიღვარიამ და იოსებ ხახალეიშვილმა გადასცეს.

ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის გენერალური მდივანი, მაკა ვასაძე, ხელოვნებათმცოდნე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ლელა ოჩიაური, საქართველოს თეატრის კრიტიკოსთა კავშირის პრეზიდენტი, თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძე და დავით გორდელაძე იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციიდან.

აღსანიშნავია, რომ ფესტივალი წელს მერვედ ჩატარდა და მხარდამჭერები იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაცია და იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტები არიან.

„თეატრალური ფესტივალი 2017-ის“ დაჯილდოების ცერემონიალს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე და მოადგილე, თეიმურაზ ჩხეიძე ესწრებოდნენ.

„წავკითხავ მინდი ნუ ჭკონია ნურავის იოლია, ცოლი ვერ ვიყავ ცოლქმრობაც ყველაფრონის!"

ეს უმშვენიერესი პოეტური სტრიქონები განსაკუთრებული ძალით ხმიანობს ჩემს სულში მას შემდეგ, რაც ქალბატონი იზა ვეფხვაძე პირველად ვიხილე ქალაქ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სცენაზე ზუსტად ერთი წლის წინ, 2016 წლის 4 ივნისს. მისმა საავტორო სპექტაკლმა „ამ მიწის ბედი ჩემი ბედია", რომელიც გოდერძი ჩოხელს ეძღვნება, მოხიბლა და სიამოვნების ბურუსში გაჰხვია გორის მაღალინტელექტუალური საზოგადოება...

და როგორ გავიხარე, როცა ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ოცწლიანი სასახელო ისტორიის მქონე ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი მიმდინარე წლის პირველი ივნისიდან ოქტომბრის ბოლომდე ახორციელებს პროექტს ,,ჩემი საქართველო აქ არის!".

პროექტის ფარგლებში საქართველოს მუნიციპალიტეტების ისტორიულ ადგილებში ქალბატონი იზა ვეფხვაძე თავისი ღვთიური ზეპირმეტყველებით „გააცოცხლებს" ერის სახელოვან ადამიანებს, მათ, რომელთა მხრებზეც დგას დღევანდელი საქართველო...

აღნიშნული პროექტით 2017 წლის 4 ივნისს პირველობის დიდი პატივი ერგო ქართლის შუაგულს - გორის მუნიციპალიტეტს. კლდეში ნაკვეთმა ქალაქმა უფლისციხემ უმასპინძლა იმერეთის მშვენიერი ასულის ნიჭიერებას. ამჯერად ქალბატონმა იზამ ჯადოსნური სიტყვით დიდი თამარ მეფის დარბაზში საქართველოსთვის ზვარაკად შეწირული მერაბ კოსტავას ამაღლებული სული ,,გააცოცხლა" სპექტაკლით ,,საქართველოს შიშველი სატევარი."

აცრემლებული მაყურებელი ,,სცენიდან" წამოსული დიდი ემოციით ინაწილებდა იმ ტანჯვა-წამებას, რაც დისიდენტ ვაჟკაცს ერგო საბჭოურ ჯურღმულებში... იგი ისჯებოდა საფიცარი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულისთვის, მაგრამ ვერ გატეხეს მისი ნებისყოფა, ვერ დაიმორჩილეს თავისუფლებისმოყვარე სული...

მაყურებელთაგან განსაკუთრებულად ბედნიერად მივიჩნევდი თავს, რადგან გორიდან მახლდნენ ხელოვნების , ნიჭიერებისა და ჩვენი საამაყო წარსულის ჯეროვნად დამფასებელი მეგობრები და ახლობლები.

სიხარულს მიძლიერებდა განცდა იმისა, რომ ჩემი უსაყვარლესი მშობლიური ხარაგაული, ჩემი დედის გამზრდელი და ჩემი მამის მარადიულად გულში ჩამხუტებელი მიწა ასხივებდა უფლისციხის სიმაღლიდან თავის ნიჭიერებას...

აბა როგორ არ გავიხარო, როცა ვხედავდი, მოსწავლე-მასწავლებლის საოცარი ურთიერთობის დიდ ძალას. ღვაწლმოსილმა პედაგოგმა, მერი გიორგიძემ, როგორ დაუმშვენა მხარი თავის საამაყო მოსწავლეს, იზა ვეფხვაძეს . სპექტაკლის შემდეგ უმშვენიერესი სიტყვით, რა დიდებულად დაუკავშირა ერთმანეთს წარსული და თანამედროვეობა. მასწავლებელმა სინანული გამოხატა, რომ იზა ვეფხვაძის მოსწავლეობის პერიოდში შეფასების ხუთბალიანი სისტემა იყო და უნიჭიერეს მოსწავლეს „ხუთიანით" აფასებდა. იმ დღეს კი მოსწავლეც და მასწავლებელიც მადლიერმა საზოგადოებამ „ათიანით" შეაფასა...

მინდა, მადლობა გადავუხადო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, ლიტერატურული თეატრის ყველა მუშაკს, ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს, ბატონ დავით კიკნაძეს, იზა ვეფხვაძის აღმზრდელ ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლას (დირექტორი მარინე ხვედელიძე), რომელმაც ამ უმშვენიერესი წუთების აღსაქმელად, პატრიოტული არეალის გასაფართოებლად, მეცხრეკლასელები მოავლინა კლასის ხელმძღვანელ მაია გაგოშიძესთან ერთად. მადლობა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის კანცლერს, პროფესორ გიორგი ხორბალაძეს, უფლისციხის მუზეუმის ადმინისტრაციას, ღირსეულ სტუმრებს ჩვენი დედაქალაქიდან და საქართველოს სხვა ქალაქებიდან.

ხალასი ოქროთი მინდა მოვავარაყო სამადლობელი ლიტერატურული თეატრის დამაარსებლის, რეჟისორის, სცენარისტისა და მსახიობის ქალბატონ იზა ვეფხვაძის მიმართ.

ქალბატონო იზა!

მე თქვენში ვხედავ ჩვენი სასიქადულო პოეტის, მუხრან მაჭავარიანის, ზემოხსენებული სტრიქონების ძალას...

დიახ, თქვენნაირი შვილების გამზრდელ ქვეყანას ვერვინ წააცევს, იოლად ვერავინ წამოაჩოქებს, რადგან მას ,,სული ატყვია კავკასიონის".

დაე, ასეთი სული ბობოქრობდეს თქვენში მრავალ ათეულ წელს, რომ თქვენ მიერ შექმნილ სამოც სპექტაკლს კიდევ სამოცი დაემატოს დიდ წინაპართა „გასაცოცხლებლად", მომავალი თაობების სულის ასამზიანებლად...

სიყვარულითა და მადლიერებით,

ექიმი პედიატრი
(ბავშვთა ნევროლოგი),
რუსუდან იოსავა .
ქალაქი გორი

მუნიციპალიტეტის გამგებელი ვახანის საბავშვო ბაღში ღონისძიებას დაესწრო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, ვახანის საბავშვო ბაღში (გამგე თამარ შარიქაძე) გამოსაშვებ ღონისძიებას დაესწრო. საღამო მეტად საინტერესოდ წარიმართა. პატარა აღსაზრდელები მაყურებლის წინაშე ქართველი პოეტების შემოქმედებასთან ერთად სხვადასხვა მუსიკალური ნომრებითა და პიესებით წარდგნენ. საკონცერტო პროგრამა მდიდარი იყო შემოქმედებითი, თეატრალური, არტისტული უნარით, რაშიც ნათლად გამოიხატებოდა აღმზრდელების დაუღალავი შრომა და პროფესიონალიზმი. ნიკოლოზ თოფურიძემ, ბავშვებს ბაღის დამთავრება მიულოცა და აღნიშნა, რომ სკოლამდელი მზაობის ჯგუფები მნიშვნელოვანია ჯანსაღი თაობების ჩამოყალიბებისთვის. აღსაზრდელებს მიესალმა გაერთიანების დირექტორი მამუკა ჭიპაშვილი და მათ სამახსოვრო საჩუქრები გადასცა. გამოსაშვებ საღამოს, გამგებლის წარმომადგენელი ვახანის ადმინისტრაციულ ერთეულში ზვიად არევაძე ესწრებოდა.

ვახანის ბაღი წელს ათმა აღსაზრდელმა დაამთავრა.

ეკა შავიძე

„ლექსო, საიდან მოდიხარ!"

ქართული პოეზიის საგანძურს კიდევ ერთი კარგი წიგნი შეემატა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატმა, ბატონმა ჯამბულ გამცემლიძემ, თავისი მრწამსი, ამქვეყნიური ყოფის უმთავრესი მიზანი, ის უმარავი კითხვა, რაც გვაცოცხლებს, გვახარებს, ხვალინდელი დღისკენ მიგვიძღვის - ღვთისგან ბოძებული პოეტური ნიჭის მადლით აამეტყველა წიგნში, რომელსაც ჰქვია „ლექსო, საიდან მოდიხარ!"

ავტორთან შეხვედრა და აღნიშნული წიგნის პრეზენტაცია 16 ივნისს ხარაგაულის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის დარბაზში გაიმართა. შემოქმედების თემატიკა, ძირითადად, მშობლიურ სოფელსა და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულს ეხება. რამდენიმე ლექსი ეძღვნება შვილს, წლების წინ ტრაგიკულად დაღუპულ გიორგი გამცემლიძეს.

პრეზენტატორმა, ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის დირექტორმა, ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ, შთამბეჭდავად მიმოიხილა წიგნი, ვრცლად ისაუბრა ბატონ ჯამბულ გამცემლიძის წერის სტილზე, ადამიანის, სოფლისა და სიცოცხლის სიყვარულზე - იმ დიად გრძნობებზე, რაც დავანებულია პოეტურ სტრიქონებსა და პროზაულ ჩანახატებში. ქალბატონმა იზამ მისთვის ჩვეული საოცარი დეკლამაციით კვლავ დაგვატკბო რამდენიმე ლექსისა და ჩანახატის წაკითხვით.

ჯამბულ გამცემლიძის პოეზიაზე ისაუბრეს: ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, ბატონმა დავით კიკნაძემ, მეორე საჯარო სკოლის დირექტორმა ვალერი გოგნაძემ, მესამე საჯარო სკოლის პედაგოგმა, მერი გიორგიძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა მანანა ბარბაქაძემ. განსაკუთრებული ემოციით იყო დატვირთული ჯამბულ გამცემლიძის ყოფილი პედაგოგის, ჯემსი ვეფხვაძის, სიტყვა, რომლითაც ხაზი გაესვა, თუ საიდან მოდის, რა ჯიშ-ჯილაგის შთამომავალია ესოდენ დიდი სიყვარულის გრძნობით დატვირთული, ღირსეული პიროვნება, ჯამბულ გამცემლიძე. პრეზენტაციის ბოლოს ბატონმა ჯამბულმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მისი შემოქმედების მიმართ ესოდენ დიდი ინტერესისა და სითბო-სიყვარულის გამოვლენისათვის. წაიკითხა რამდენიმე ლექსი, ისაუბრა მათი შექმნის ისტორიაზე, რითაც მსმენელთათვის ცხადი გახდა, თუ საიდან იღებს სათავეს ბატონ ჯამბულ გამცემლიძის პოეტური გამონაშუქი.

ეკა შავიძე

გაკვეთილი? არა, უფრო მეტი...

ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი ახორციელებს ახალ პროექტს „ჩემი საქართველო აქ არის!" რომლის მიზანია საქართველოს ისტორიული მნიშვნელობის ადგილებში დიდ ქართველებსა და ეროვნულ მოღვაწეებზე ლიტერატურული სპექტაკლების გამართვა.

თეატრის ხელმძღვანელმა და პროექტის ავტორმა, ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ, სპექტაკლი „საქართველოს შიშველი სატევარი" 4 ივნისს უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე, თამარ მეფის დარბაზში, გამართა. რომელიც ეძღვნებოდა საქართველოს ეროვნულ გმირს - მერაბ კოსტავას. სპექტაკლს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, დავით კიკნაძე, დაბა ხარაგაულის N3 საჯარო სკოლიდან მეცხრე კლასის მოსწავლეები, მათი დამრიგებელი, მაია გაგოშიძე და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მერი გიორგიძე, დაესწრნენ.

13 ივნისს დაბის N3 საჯარო სკოლაში მიღებული ემოციებისა და შთაბეჭდილებების გასაზიარებლად ღია გაკვეთილი ჩატარდა. მას სკოლის პედაგოგებთან ერთად საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, დავით კიკნაძე და პროექტის ავტორი იზა ვეფხვაძე ესწრებოდნენ.

მოსწავლეები შთამბეჭდავად საუბრობდნენ ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას, ღვაწლზე, გორის ციხის ისტორიაზე, ირაკლი ოჩიაურის ცხრა ძმა ხერხეულიძის სკულპტურაზე, რომელიც გორის ციხის შესავალშია წარმოდგენილი. ატენის სიონი და უფლისციხე, მათი აზრით, ჩვენი რწმენისა და ისტორიის დიდი მესიტყვეა.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი დავით კიკნაძე:

„ძალზე გონივრულად იყო გადაწყვეტილი, რომ იმ დღეს მეცხრეკლასელებმა დამრიგებელთან და სიტყვიერების პედაგოგთან ერთად, ბორითში, მერაბ კოსტავას დაღუპვის მემორიალთან, პატივი მიაგეს გმირის ხსოვნას...

ამ გაკვეთილზე ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ გააანალიზეს მოსწავლეებმა ჩვენს დიდ ისტორიასთან შეხვედრა და სპექტაკლით მიღებული შთაბეჭდილებები. რასაკვირველია, ყველა მერაბ კოსტავა და დავით აღმაშენებელი ვერ იქნება, მაგრამ აშკარად ჩანს მათი თვალსაწიერი, რომ ისინი ღირსეული მემკვიდრეები არიან და იქნებიან ჩვენი წარსულისა.

ჩვენ კარგად ვიცნობთ ქალბატონ მერი გიორგიძის პედაგოგიურ ღვაწლს და გადაუჭარბებლად შემიძლია გითხრათ, რომ დღეს ეს არ იყო მარტოოდენ გაკვეთილი, ეს იყო გაკვეთილზე უფრო მეტი თავისი დატვირთვითა და დიაპაზონით."

დაბის მესამე საჯარო სკოლის დირექტორი მარინე ხვედელიძე: „ქალბატონი იზა არის იდეების კიდობანი. მასთან რაც უფრო ახლოს ვიქნებით, რაც მეტად ჩავჭიდებთ ხელს, მით მეტის სწავლას შევძლებთ. ამაყი ვარ იმით, რომ ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა ბევრი რამ იციან უფლისციხის, გორის ციხისა და ცხრა ძმა ხერხეულიძის შესახებ..." მინდოდა, ეს მოსწავლეები ლიტერატურულ სპექტაკლს დასწრებოდნენ, ყოველივე მოესმინათ და ეგრძნოთ, რადგან გრძნობა,რიგ შემთხვევაში, ცოდნაზე მაღლაც დგას. ჩემი სურვილია, თავისი წილი სიყვარული, თავისი წილი პასუხისმგებლობა თითოეულმა ადამიანმა გამოხატოს სამშობლოს წინაშე. ჩვენი საქართველო თითოეული ჩვენგანის გულშია. დაე, გეცხოვროთ უფლის, სამშობლოსა და გმირი წინაპრების სიყვარულით!"

რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელი იზა ვეფხვაძე: „წლების შემდეგ პირველად მოვისმინე ჩემი მერი მასწავლებლის გაკვეთილი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სულ ერთად ვართ, პირველად მქონდა წლების შემდეგ ეს ბედნიერება. მერი მასწავლებელი საოცარი სიტყვის ოსტატი ქალბატონია, იგი ჩემს ყველა დიდ ღონისძიებაზე სიტყვით გამოდის. როდესაც ასეთი მასწავლებელი გყავს, არ შეიძლება, არ გამოხვიდე კარგი. მჯერა, იქნებით ძალიან კარგები, ისეთები, როგორიც მერი მასწავლებლის გაზრდილი ყველა მოსწავლე. დღევანდელი გაკვეთილი ძალიან მრავალფეროვანი იყო, კიდევ ბევრი რამ ვისწავლე. მახარებს, რომ ჩემს მასწავლებელს ხმაში ბზარი არ გასჩენია...

მადლობა მინდა, გადავუხადო სკოლის დირექტორს მარინე ხვედელიძეს, რომელიც ძალიან მონდომებული და ენთუზიაზმით აღსავსეა, რათა მისი სკოლა იყოს წარმატებული და გამორჩეული. აღსანიშნავია, რომ მან საკუთარი სახსრებით მოახდინა მოსწავლეების ტრანსპორტირების ხარჯების დაფარვა. დიდი მადლობა ჩემს მშობლიურ სკოლასა და პედაგოგიურ კოლექტივს. ჩვენ კვლავაც გავაგრძელებთ პროექტს „ჩემი საქართველო აქ არის!" და ამით კიდევ უფრო გავაძლიერებთ ჩვენში პატრიოტულ გრძნობებს".

გაკვეთილის მიმართ თავიანთი ემოციები გამოხატეს პედაგოგებმა: ვენერა კიკნაძემ, მაია გაგოშიძემ, თამარ სულიაურმა, ლიტერატურული თეატრის მუსიკალურმა გამფორმებელმა დალი მერაბიშვილმა.

ვუსურვოთ, რომ შემართება და უფლის წყალობა არ მოკლებოდეს ღია გაკვეთილის ავტორს, ქალბატონ მერი გიორგიძეს, თავის მოსწავლეებთან ერთად.

თამარ მაღრაძე

წარჩინებული კურსდამთავრებულები ოქროსა და ვერცხლის მედლებს მიიღებენ

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არაერთ პროექტს ახორციელებს, მათ შორისაა „წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების ქვეპროგრამა“, რომლის მიზანია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების წახალისება და წარჩინებულ მოსწავლეთა წარმოჩენა. პროექტის ფარგლებში 2016-2017 სასწავლო წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლებიდან ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი 19 მოსწავლე გახდა. ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის, დავით კიკნაძის, ინფორმაციით, ოქროს მედალოსანი თოთხმეტი კურსდამთავრებულია, ხოლო ვერცხლის-ხუთი. მე-3 საჯარო სკოლიდან ოქროს მედალი სამმა მოსწავლემ - ნინო ჭყოიძემ, ნინო ლაცაბიძემ და სალომე კვირიკაშვილმა - დაიმსახურა. ოქროს მედალოსნები ასევე არიან: ვარძიის საჯარო სკოლის მოსწავლეები - თინათინ ხიჯაკაძე და კოტე გოგსაძე, ბორის საჯარო სკოლის მოსწავლეები - გვანცა ბერაძე, ლანა ღონღაძე და ფერიდე ბერაძე, ხევის საჯარო სკოლის მოსწავლე -ლევან გორგაძე. ხარაგაულის ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის ხუთი მოსწავლე: ლაშა ბუხნიკაშვილი, სოფო შველიძე, ანი თაბუკაშვილი, თამარ თხელიძე და ნინო ოკრიბელაშვილი. ვერცხლის მედალოსნები გახდნენ: ხარაგაულის N2 საჯარო სკოლის ორი მოსწავლე: ანი აბაშიძე და ნათია ტაბატაძე. სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეები - ელენე კამკამიძე და მაგდა თხელიძე, ხევის საჯარო სკოლის მოსწავლე - ვარლამ გრიგალაშვილი.

მედალოსან კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები ეროვნული სასწავლო გეგმით რეგულირდება. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულაა 10 დამრგვალების გარეშე და მიიღებს დადებით შეფასებას სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე, იღებს სრული ზოგადი განათლების ოქროს მედალოსნის ატესტატს. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 9.8 ან მეტი და მიიღებს დადებით შეფასებას სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე, იღებს სრული ზოგადი განათლების ვერცხლის მედალოსნის ატესტატს.

ეკა შავიძე

ხარაგაულში ქორეოგრაფიული ფესტივალი ,,კიდევაც დაიზრდებიან“ გაიმართა

22 ივნისს ხარაგაულის კინოთეატრში ქორეოგრაფიული ფესტივალი ,,კიდევაც დაიზრდებიან“ გაიმართა. ფესტივალი კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიულ ანსამბლ „უბისის“ ხელმძღვანელების: ზაზა და ელისო ლურსმანაშვილების ინიციატივით, ხარაგაულის კულტურის ცენტრისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის მხარდაჭერით 2009 წლიდან იმართება და მისი მიზანი ქართული ხალხური ცეკვის პოპულარიზაცია, თვითმყოფადობის შენარჩუნება -განვითარებაა.

,,ქართული გენი როკვით განფენილი“-ამ სიტყვების ძალა მთელი სიცხადით მრავალჯერ უგრძნია ხარაგაულელ მაყურებელს. გამონაკლისი არც დღევანდელი დღე ყოფილა. მაღალი ოსტატობით შესრულებულმა საცეკვაო ნომრებმა მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

ფესტივალში მონაწილეობას იღებდნენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ხევის (ხელმძღვანელი ალეკო ტაბატაძე), ბორითის (ხელმძღვანელი ვალერი ტაბატაძე), წიფის (ხელმძღვანელი ომარ ბარბაქაძე) და ვაშლევის (ხელმძღვანელი აკაკი ტაბატაძე) საჯარო სკოლების ქორეოგრაფიული ანსამბლები, კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „უბისი“ (ხელმძღვანელები: ელისო და ზაზა ლურსმანაშვილები) და ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული ანსამბლი „საუნჯე“ (ხელმძღვანელი რომან ბუაჩიძე). ფესტივალში მონაწილეობდნენ ასევე ზესტაფონის (ხელმძღვანელი ზაზა შალამბერიძე, ქორეოგრაფი მამუკა გაჩეჩილაძე), ხაშურისა (ქორეოგრაფი ხათუნა ბერეზაშვილი) და ბაღდათის (ხელმძღვანელი გოჩა შველიძე) მუნიციპალიტეტების ქორეოგრაფიული ანსამბლები.

ღონისძიების დასასრულს ყველა მონაწილე ანსამბლს სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ. საჩუქრები მათ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა, ირინე ჩხეიძემ, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ და ა(ა)იპ ,,კულტურის ცენტრის“ დირექტორმა, ვასილ კიკნაძემ, გადასცეს.

შეგახსენებთ, რომ ხარაგაულში პირველი ქორეოგრაფიული წრე ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 40-იან წლებში შეიქმნა, რომელსაც ქორეოგრაფი ლევან ლურსმანაშვილი ხელმძღვანელობდა. მაშინდელმა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა ტრიუმფით მოიარა საქართველო და საერთაშორისო ასპარეზზე მრავალჯერ აჩვენა ქართული ხელოვნების სიდიადე. დღეს კი ამ სფეროს დიდ ტრადიციას და-ძმა ელისო და ზაზა ლურსმანაშვილები ღირსეულად აგრძელებენ. მათ მიერ შექმნილი ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,უბისი“ მრავალი რესპუბლიკური და საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი გახლავთ. ანსამბლს 2013 წელს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის გადაწყვეტილებით მიენიჭა საბავშვო, სანიმუშო და სახალხო ანსამბლის წოდება.

ეკა შავიძე

„საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების პროგრამას განახორციელებს

15 ივნისს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესების მიზნით ხელოვნური განაყოფიერების პროგრამისთვის 6 ათასი ლარის გამოყოფის საკითხზე იმსჯელეს. პროგრამას ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ განახორციელებს, რომლის ფარგლებში გადამზადდება სპეციალისტი და ამ სფეროში შესაბამის ცოდნას მიიღებს. ა(ა)იპ-ის დირექტორის, შმაგი ხიჯაკაძის, ინფორმაციით, პირველ ეტაპზე მოხდება ვრცლად ისაუბრა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, ნათია ბერაძემ. მისი განმარტებით, ხელოვნური განაყოფიერება ხელს შეუწყობს პირუტყვის პროდუქტიულობის გაზრდას. ბერაძე ამბობს, რომ საქართველოს რამდენიმე მუნიციპალიტეტში აღნიშნული მეთოდი წარმატებით ხორციელდება.

საკრებულოს წევრებმა გამოთქვეს სურვილი, პირუტყვთა ხელოვნური განაყოფიერე-

სპეციალური დანადგარის შეძენა, რომლის ღირებულება დაახლოებით 3 000 ლარია, ხოლო შემდგომ პროგრამის განხორციელება მინიმალური თანხებით იქნება შესაძლებელი.

დეპუტატთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ პროექტის განხორციელება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს არ უნდა დაევალოს, რადგან მსგავსი რამ მათ წესდებაში არ უწერიათ, ასევე დაინტერესდნენ, თუ რა სარგებელს მისცემს ადგილობრივ ფერმერებს პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბის პროგრამაზე მუნიციპალიტეტმა ტენდერი გამოაცხადოს, ან გაფორმდეს ხელშეკრულება აღნიშნულ საკითხში უფრო კომპეტენტურ პირთან (დანესებულებასთან). თუმცა საბოლოოდ, დეპუტატების უმრავლესობამ წარმოდგენილ საკითხს მხარი დაუჭირა.

შეგახსენებთ, რომ მუნიციპალიტეტში პირუტყვთა ხელოვნური განაყოფირება სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ინიციატივით ხორციელდება.

თამარ მაღრაძე

,,ტურიზმის ცენტრის“ დირექტორი საქმიანი ვიზიტით სალონიკში იმყოფებოდა

ა(ა)იპ „ხარაგაულის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის“ დირექტორი, ბერიკა თურმანიძე, 6-13 ივნისს სალონიკში ახალგაზრდული მუნიციპალური ქსელის ფარგლებში იყო მიწვეული. სალონიკში საქართველოს წარმომადგენლებთან ერთად, ბელგიის, იტალიისა და რუმინეთის ახალგაზრდული ორგანიზაციების თანამშრომლები იმყოფებოდნენ. წელს სალონიკმა კიდევ ერთხელ უმასპინძლა „ქუჩის არტის ფესტივალს“ – SAF, რომელიც პირველად ამავე ქალაქში 2014 წელს ჩატარდა. დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში ბერიკა თურმანიძე წიგნის კითხვის, მუსიკის, ხატვისა და ცეკვის ფესტივალებს დაესწრო, რომლის იდეა ახალგაზრდებისთვის თავიანთი ნიჭის წარმოჩენის შესაძლებლობა გახლდათ.

,,ტურიზმის ცენტრის“ დირექტორის ინფორმაციით, იგეგმება ხარაგაულში სალონიკის მუნიციპალიტეტის ორგანიზაციის K.E.DI.TH. (პრეზიდენტი მარია პასჩალიოუ) წარმომადგენლების სტუმრობა. ისინი გაეცნობიან მუნიციპალიტეტის რესურსს და ამის შემდეგ დაიგეგმება აქტივობები. ბერიკა თურმანიძე ფიქრობს, რომ ხარაგაულში ქუჩის ხატვის ფესტივალი მოეწყობა.

,,შეხვედრა გვქონდა რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენელთან, ვისაუბრეთ ხარაგაულის ტურისტული პოტენციალის შესახებ. ვცდილობთ, ჩავერთოთ ევროპული მუნიციპალიტეტების თანამეგობრობაში, რაც ბევრ ახალგაზრდას მისცემს საშუალებას, მონაწილეობა მიიღოს ევროპაში გამართულ ღონისძიებებზე“.- დასძინა ბერიკა თურმანიძემ.

მინი ფეხბურთში გამარჯვებული რკინიგზის გუნდი გახდა

ხარაგაულის ორგანიზაციებს შორის მინი ფეხბურთის ჩემპიონატი დასრულდა. თამაშები ჯგუფური პრინციპით მიმდინარეობდა და ფინალში ერთმანეთს ტურიზმის ცენტრისა და რკინიგზის გუნდები დაუპირისპირდნენ. შეხვედრა დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა და გამარჯვებულის გამოსავლენად საჭირო გახდა დამატებითი ტაიმების დანიშვნა. საბოლოოდ, გამარჯვებული რკინიგზის გუნდი გახდა ანგარიშით 4:3. ფინალისტი გუნდები გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, ირინე ჩხეიძემ, თასებითა და სიგელებით დააჯილდოვა.

გამოვლინდნენ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული ფეხბურთელები: საუკეთესო მეკარის წოდება ირაკლი იჩქიტიძემ მოიპოვა, საუკეთესო ფეხბურთელად კი ვალერი ტალახაძე დასახელდა, მაყურებლის სიმპათია ნიკალაი ბუაჩიძე გახდა.

შეგახსენებთ, ტურნირი 12 ივნისს დაიწყო და 20 ივნისს დამთავრდა. ჩემპიონატის ფარგლებში თამაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის დარბაზში ტარდებოდა და მასში შვიდი ორგანიზაციის გუნდი მონაწილეობდა.

თამარ მაღრაძე

მე-2 საჯარო სკოლაში მეოთხე კლასის გამოსაშვები ღონისძიება გაიმართა

15 ივნისს მე-2 საჯარო სკოლაში მეოთხე კლასის გამოსაშვები ღონისძიება გაიმართა. მოსწავლეები პირველ მასწავლებელს და განვლილ ოთხ წელიწადს ლექსებითა, სიმღერებითა და ცეკვით დაემშვიდობნენ. კლასის ხელმძღვანელმა, მაია შარიქაძემ, აღსაზრდელებს წარმატებები უსურვა და ცხოვრების სავალი გზა დაულოცა. სკოლის დირექტორმა, ვალერი გოგნაძემ, აღნიშნა, რომ ეს კლასი არა მარტო კარგი სწავლით, არამედ სანიმუშო დისციპლინითაც გამოირჩეოდა, რაც მშობლებისა და პედაგოგის დიდი დამსახურებაა. ვალერი გოგნაძემ, ქალბატონ მაიას დაუღალავი შრომისათვის მადლობა გადაუხადა, მომავალ თაობას წინსვლა და წარმატებები უსურვა.

თამარ მაღრაძე

მადლობა

ა(ა)იპ „სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის (დირექტორი დავით გელაშვილი) თანამშრომლები, დიდ მადლობას ვუხდით მამა-შვილ იგორ და ირაკლი მეიფარიანებს ველოტრენაჟორის საჩუქრად გადმოცემისათვის.ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი თანამემამულეები.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12